

F343
2000

დეტა

№1 იანვარ-თებერვალი 2000 წელი

უმწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვის არის, სიბამ მოსულა
სად არის, ჩავა სდიაო?



გვიანოცავებ დიღა 95

შურნალ „დიღის“ შემოქმედებით კოლმეხტის

შურნალ „დიღის“ სარედაქციო კოლეჯის

სამიწკნებით ვულოცავ შურნალ „დიღის“ იუბილეს, ვულოცავ მის რედაქტორს, მის თანამშრომლებს, მის მკითხველებს.

ეს მართლაც ის იშვიათი შემთხვევაა, როცა 95 წლისა გვები, მაგრამ მაინც ბავშვური ასაკი გაქვს და ეს საქმისთვის აუცილებელია.

„დიღა“ ყოველთვის ისეთ თაბას უზრდიდა ქვეყანას, რომელიც იმ დროს, იმ სიტუაციას სჭირდებოდა.

ახლა თქვენ საქართველოს ის თაბა უნდა გაზარდოთ, რომელიც თავისი უფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოს მართვად ღელს. კი არ სჭირდება, არამედ მომავალშიც.

ალბათ, არაფერია იმაზე რთული, წერო ბავშვებზე და ბავშვებისათვის, რადგან მამინ თეთინ უნდა იყო წრფელი და გულმართალი, ბავშვი ხომ სიყალბეს არასოდეს გაატყობს.

ჯერ-ჯერობით, ქვეყანა ფინანსურად ვერ ემხმარება „დიღის“ და ყოველივე თქვენს ენთუზიაზმზეა დამოკიდებული.

ყოცნებზე იმ დღეზე, დიღას რომ „დიღის“ პრობლემების გადაწყვეტით დაეკავებოდა და დარწმუნებული ვარ, ეს დღეც მალე დადგება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და მინდა იცოდეთ, რომ ჩემს შვილიშვილებთან და მეუღლესთან ერთად, ჩემი სახით „დიღის“ ერთგული გულშემატკივარი და გულწრფელი დამფასებელი მექს და ვეულობა.

პატივისცემით,
მურად შვხარდნაძე

მეორფასო მეგობრებო! საქართველოს მწერალთა კავშირი, ქართველი მწერლები გულმუხრავლად მოვესალმებით ქართველი ბავშვების უსაყვარლეს შურნალს და გილოცავენ დაარსების 95-ე წლისთავს.

ჩვენი საუკუნის ვარიანტზე, 1904 წელს, დაარსებულმა შურნალმა რადმენტერმე გამოიცვალა სახელი: ჯერ „ნაკაღელ“ ერქვა, შემდეგ „ოქტობრული“, ბოლოს კი „დიღა“ დაერქვა, მაგრამ არ გამოუვლია მიზანი და დანიშნულება – ყოფილიყო ქართველი ბავშვების გულის მესალმებელი, მათი სანუკუარი მიზნებისა და ოცნებების გამზიარებელი, ყოფილიყო მათი ერთგული და დაუზარებელი მეგობარი იმ ჯაღონსურ სამყაროში, რომელსაც სიცილის, პატიონისების, ვეჭვაციბისა და ქველურციბის საუფლო ქვეია.

შურნალი „დიღა“ ათწლეულების მანძილზე მუდამ ამყავ და მუერუხევენლად ასრულებდა ამ საპატიო მისიას. ყოველივე ამის საწინდარი კი ის გახლდით, რომ ჩვენი უმეორფასეს შურნალს პირველი რედაქტორიდანვე (ეს პატივი კი 1904 წელს მაგრამ დღემორიას ხვდა წილად) დავებდა სათავეში მქონილა ქართველი მწერლობის ისეთი გამომჩენილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ნინო ნაკაშვილი, ალიო მარტყოლაძე, ირაკლი აბაშიძე, ვიორგი კაცხიძე, რეკვზ მარტყოლი, ოსებ ნინეშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, მუხრან მაჭავარიანი, რეკვზ ინანიშვილი, ენერ ნიგარამე და თერფი ჩალაური.

ამ შურნალში ბეჭდადვენენ თავიანთ სწორუპოვარ ნაწარმოებებს, ამ შურნალდან უნერგადვენენ ქართველ ბავშვებს სამშობლის სიყვარულს, ვეჭვაციბისა და ქველურციბის, სათიონების და ერთუღების ნიჭს დიდი აკაკი, დიდი ვაგა, შიო მღვიმელი, იაკობ ვოგებაშვილი...

„დიღალ“ საოცარი ჭირიათმების უნარი დავნათლა იმთავითვე. მის თავზე ქაბირბალა არ დატრიალებულა, თორენ რა შინაბეჭების არ გამოულ, რა უბედურებები და განსაცდელი არ გადაიტანა. ეს არც იყო გასაკვირი. ის ხომ საქართველოს სისხლი სისხლთვანი და ხორცი ხორციავანი იყო, თავისი ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობდა, მასთან ერთად ებრძოდა ვაჭრებებს, მასთან ერთად იმარტყოლა. საქართველოს მოძვილის, ქართველ ბავშვების დიდი სიყვარული და ერთუღება ემხმარებდა ყველა წინაბლისა და დაბრკობების გადატანაში.

არ შეიძლება არ აღვინიშნოთ, რომ ჩვენი საყვარელი შურნალი განსაკუერბული დიღემის წინაშე ბოლო ათწლეულში აღმონდა. რაოდენ პარადიქსულადაც არ უნდა ჩანებ, თავისუფლებამორეულ საქართველოში, დემოკრატიის გზაზე დამდვარ ქვეყანაში „დიღისისთვის“ თითქოს არ აღმონდა ადგილი და მან საშილი წლით არსებობაც კი შეუწყვტა.

ძალზე ვგახარებს, რომ ამ საშილი გამოცდის გამს ქართველობას აღმონდა სიკარის სიბრენ და შორსმხედვლობას, დავნახა, თუ რა საშილი შედეგების მორტანა შეუძლო ქართველი ბავშვების, მოზარდი თაბის სწორ სულიერ ფორმირებაზე უარის თქმას და მათი ინტერესების სრულ იგნორირებას, დავნახა და ამ კუბიოხული გაუგებრობის თვიდან ასაცილებლად სათანადო ნაბიჯებიც გადავადგა.


დიას, გამონდა ენთუზიასტა მცირე ჯგუფი ქალბატონ დიდი წიფივანის მეთუბობით, რომელმაც ახალი სული ჩაუდგა, ახალი სიცოცხლე მინიჭა „დიღის“ და ნამუსი მოსწმინდა ქვეყნის ხელისუფლოც ბავშვების წინაშე მტერიც, ახალმა „დიღამ“ ყველა ვაგვაოცა თავისი მიზნდასახულობით, თავისი ბრწვინვალებითა და ელვარებით. ახლა ჩვენი შურნალი უსასუბებს ყველაზე გემოვნებიანი, ყველაზე მომთხონი მკითხველის სურვილებსა და ინტერესებს. შურნალის ფორმატიც და შინაარსიც ერთიანად იზიდავს მის მკითხველს და შეიძლება სამავალითიც კი იყოს თანამდერვე შურნალისტიკაში. ამ შურნალში მიღაცნება და თანამშრომლობა უნაკ პრესტიჟული გახდა ყველაზე სახელოანი მწერალისთვისაც და ეს დირტესას და პატივს ვამატებო, მეორფასო „დიღელეო“.

ქართველი მწერლობა კიდევ ერთხელ გილოცავთ სახელოანო იუბილეს, დღეგებლობასა და მხეგრელობას ვისურვებოთ თქვენცა და თქვენს ნორნ მკითხველებსაც. ჩვენ კი მუდამ თქვენს გვერდში, თქვენს შემწეულ და ქომავალ გვივალეო.

საპარომელოს მურალთა კავშირი

„დიღის“
რა ლამაზი „დიღა“ არის, ატლასივით მიღვარებ, მის ბაღარაში შემადულა ვარსკვლავები, მზე და მთვარე.

ყვაილები, ყვაილები ამწვენენ „დიღის“ გვერდებს, დაბადების დღეს გილოცვას არასოდეს დაგვიბრდე!



ეკლესია - ღვთის სახლი

მზე - საიდუმლო

ნანა ჩარკვიანი

მატყარი კახაბარ ასლანიშვილი



ყველა ვიცი, რა არის მზე, მაგრამ მოდი, მაინც ვთქვათ, რა არის მზე!

დღე მზის ამოსვლით იწყება. მზის ამოსვლა გვაფხიზლებს ძილისაგან. როცა გვიხანავს, ჩვენ ხომ ვერაფერს ვხედავთ (გარდა სიზმრებისა), ვერც ვისმენთ, ვერც ვფიქრობთ, ვერც დავიფაროთ, ვერც ვიამაშობთ. ესე იგი დღე და ცხოვრება მზის ამოსვლით იწყება.

მზე რომ არ ყოფილიყო, მიწაზე დაისადგურებდა სიბნელე, გაუთენებელი ღამე, ყველაფერი იქნებოდა უფერო, შავი. გასულხართ ოდესმე უშოვარო ღამით სახლიდან გარეთ, იქ, სადაც არც ღამპიონებია და არც სარეკლამო წარწერები ანათებს, მაგალითად, აგარაკზე, ან სოფელში? ღამით ხეებზე შავია, სახლებიც, ცაც და ადამიანებიც. მხოლოდ მზის სინათლეზე ჩანს, რომ ბალახი მწვანეა, თოვლი - თეთრი, ცა - ცისფერი, ვარდი - ვარდისფერი, ფოთოლხალი - სტაფილოსფერი, სტაფილოც - სტაფილოსფერი. ესე იგი უმზე-ოდ ყველაფერი ერთფეროვანია, მზის სინათლეზე კი - მრავალფეროვანია, სახალისო და საინტერესო.

მოდი, კიდევ ვთქვათ, რა არის მზე.

მეცნიერები გვეუბნებიან, რომ მზე ჩვენგან ძალიან შორსაა, რომ მას ასიათასობით კილომეტრი გვაშორებს. მაგრამ ჩვენ არ განვიცდით ამ სიშორეს, რადგან ყოველდღე ვხედავთ მზეს, ვგრძნობთ მის სითბოს.

ესე იგი მზე ერთდროულად შორეულიც არის და ახლობულიც.

მზის სითბო ყველასთვის აუცილებელია:

სითბო საჭიროა იმისათვის, რომ თბილ მიწაში გაღვივდეს თესლი, აღმოცენდეს ბალახი, გაიშალოს ყვავილი, გაიზარდოს ხე და მოისხას ნაყოფი;


სითბო აუცილებელია იმისათვის, რომ ყინული გალღვეს და წყლად იქცეს, აბა, ყინულით ხომ ვერ მოვრწყავთ მიწას?

სითბო სჭირდება ნებისმიერ ცოცხალ არსებას - მწერებს, თევზებს, ფრინველებს, ცხოველებს, ადამიანებს. ზოგიერთი მწერი თუ ცხოველი იძენდა ვერ იტანს სიცივეს, რომ ზამთარში იძინებს და აქტიურ სიცოცხლეს ვაგზაფულებზე აგრძელებს. ასეთია ფუტკარი, ზღარბი, დათვი... ზოგი ფრინველი ზამთრის პირზე თბილ ქვეყნებში მიფრინავს. არც ადამიანებს უყვართ სიცივე. ისინი ათავგავრ ღუმელს და ქურას იკონებენ, რომ ზამთრობით სახლები გათბონ. თუმცა, მზე რომ არა, ადამიანი ვერავითარი ხელსაწყოთი ვერ გაათბობდა მთელ დღამიწას.

სწორედ ამიტომ, რომ მისი სითბო და სინათლე ყველას სჭირდება, მზე ჰვავს სიყვარულს - უმიხოდ ადამიანის სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

F-8019

საქართველოს
განათლების
მინისტროს
გამართავი
სამსახური



აბა, წარმოიდგინეთ საკუთარი თავი - მხოლოდ მაშინ ხართ კარგ გუნებაზე, მეტიც, მაშინ ხდებით უკეთესები, როცა თქვენზე ზრუნავენ, გვეყვებიან, უყვარხართ, როდესაც თქვენ თვითონ ვიყვართ ვინმე ან რამიმე. მაგრამ ჩვენი სიყვარული ვერ სწვდება ყველა ადამიანს. ჩვენ გვიყვარს მშობლები, ნათესავები, მეგობრები, ახლობლები, მაგრამ არის პიროვნება, რომლის სიყვარულიც მზის სინათლეა და სითბოსავით ყველას და ყველაფერს ჰყოფნის, მისი სიყვარულის ძალით არსებობს სამყარო. თქვენ, რა თქმა უნდა, მიხვდით, რომ ასეთი პიროვნება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთია.

იცოდეთ, რომ ყოველი ქრისტიანული ტაძარი მიმართულია აღმოსავლეთით, რათა ღოცვის დროს პირთ აღმოსავლეთისკენ ვიყოთ მიბრუნებული. ეს იმიტომ, რომ აღმოსავლეთიდან ამოდის მზე და მოჰყვანს ნათელს, რომელიც ისევე, როგორც ღვთაებრივი სიყვარული, ყველასათვის აუცილებელია. მზე ჰკავს დამეროს, უიმისოდ ყოველი ცოცხალი არსება დაიღუპებოდა ამ ქვეყანაზე.

ისიც იცოდეთ, რომ ნათელი არსებობდა მანამ, სანამ მზე, მთვარე და ვარსკვლავები გაჩნდებოდა. მთვარე მზის სხივებს იკრებს, რათა ღამე გაანათოს, მას არ შეუძლია საკუთარი ძალით ნათება, ასევე, მზეც თავის ნათელს იღებს სულ პირველი ნათლისაგან - ეს ნათელი ღმერთია. ამ ნათლის მიღება თითოეულ ჩვენგანს შეგვიძლია.

ზომ გახსოვთ ხალხური ლექსი - „მზე შინა და მზე გარეთა, მზევე, შინ შემოიღიო“. ალბათ, ჩვენი საუბრის შემდეგ ეს სიტყვები გასაგები გახდება.

როცა ადამიანებს უყვართ, ეს ძალიან კარგია მაგრამ ჩვენითვის საკმარისი არ არის, სიყვარული არსებობდეს ჩვენს გარეთ, გვირგვინა, რომ ჩვენ ვუყვარდეთ და ჩვენ გვიყვარდეს, ესე იგი შემოვიდეს ჩვენს „შინა“.

ღმერთი, რომელიც მზესავით შორსაა ჩვენგან, შემოდის, აღწევს ჩვენს „შინა“ ისე, როგორც ტაძარში აღწევს მზის სხივები სარკმლებიდან ან ჩვენს ოთახში ფანჯრებიდან.

ჩვენში სულიერი, ღვთაებრივი სინათლე შემოდის იმ სარკმლიდან, რომელსაც ჩვენივე გული ჰქვია. სულიერი სინათლე არც თვალთ ჩანს, არც ყურით მოისმინება, მით უფრო არც გემო აქვს, არც სუნია. ის შეიძლება გულით განიცადო, ის შეიძლება გავიხარდეს. სინელებში არაფერი ჩანს, მხოლოდ მზის სინათლეზე შეგვიძლია გავარჩიოთ საგნები ერთმანეთისაგან. ასევე, მხოლოდ სულიერი სინათლის მუქზე გავარჩევთ ჩვენში იმპარტუნებას სიმდაბლისაგან, მრისხანებას ღმობიერებისაგან, გულგრილობას თანაგრძნობისაგან, ერთი სიტყვით, ბოროტებას სიკეთისაგან. ასე იწყება სულიერი ცხოვრება, ასე აღმოვაჩენთ ჩვენში „მზეშინას ნათელს“, სულიერ ნათელს.

ამიტომაც მზე არის საიდუმლო!
სულიერი მზის ნათელი 2000 წლის წინ დედამიწაზე მოგვიტანა იესო ქრისტემ. ამ საიდუმლო ნათელს დღემდე ინახავს მართლმადიდებელი ეკლესია, რათა ყოველი ჩვენგანის გულში ანათებდეს „ნათელი მხიარული“. მილი, ნუ მოვაკლდებით ამ საიდუმლოს! ამინ.

კროსვორდი

კანთკონი საჩუქარი

არ თოვს,
არ წვიმს,
არც ქარია,
თუმცა გარეთ ზამთარია.

თოვლის პანაჟი, გესვენებით,
კიდევ ერთხელ მოდი, მალე,
სახუქრები თუ არა გაქვს,
თოვლი მაინც მოგვტანს.

თორემ რას ჰგავს,
არც ეინული,
არც ღოღუას ფანქარია,
გარეთ გასაფხულია და,
კალენდარზე... ზამთარია.

ჯავრობის დედა,
ჯავრობის მამა,
ჯავრობის ლექსო -
რას ჰგავს, აბა,
კაცი კაცს და,
იანუარი,
იანუარს რომ აღარა ჰგავს.

რა ვიღონოთ -
მე და ლექსო,
იცე, ერთად ვფიცობთ რამდენს? -
კაცი კაცს და
ბავშვი ბავშვს და
ზამთარი რომ ზამთარს ჰგავდეს...

არც თოვს,
არც წვიმს,
არც ქარია,
თუმცა გარეთ ზამთარია.

ზონა ვაშაკიძე თოვლის პანაჟი

თქვენთან მოსვლა მისაროდა,
გადმოვლანე მთები,
თქვენზე ფიქრში, ოცნებაში,
გამითეთრდა თმები.

დატვირთული სურვიანით და
დათოვლილი მსრებით,
მოველ თქვენთან, მსურს ვისმინო
თქვენი ტკბილი სმები.

აბა, ერთად შემოვძანოთ,
გუსუნებდეს ჭერი,
მივლ ქვეყანას მიველოცოთ
ეს ახალი წელი.

ზაზა ჰინძელაძე საბახალცლო ნაბჭრა

ამ ახალ წელს ჩემს სამშობლოს
მიულოცავს უფალი,
და იქნება საქართველო
ლადი, თავისუფალი!



ზოაჭარი - სჩუქარი ჯიყარა
 ჯაღმუცდას ნია ბივნივატეს, რომის
 მუხნიეურმა და ჯამაჟა ყაჭამ
 ეს ზოაჭარი დამსწერიხა.

1999 წ.

ჰელდი ბერი
 ასტრუაზი შვილი.

მხიარული, მუჟუნა წვიმის შემდეგ ცა შვიდფერა
 სარტყელად დაამჟვნა.
 - ნეტავი ცისარტყელას ფერის კაბები მქონდეს! -
 ატრა ბალახის ღეროზე წამოსკუტებულმა მარიამჭიამ,
 მოხდა სასწაული, ციდან იმდენი კაბა ჩამოცვივდა,
 ამდენი ფერიც აქვს ცისარტყელას:
 წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე... ვინ მოითვლის?
 გაუხარდა მარიამჭიას, ყოველდღე ნაირ-ნაირ კაბას
 იცვლიდა.

ერთ დღეს კაბები დილის ნაშში გარეცხა და
 გასაშრობად ბალახის ღეროზე გაფინა, თვითონ კი
 რომელიღაც ყვავილის გვირგვინში დაიხინა, რომ
 სიზმარში ყვავილეუის უფლისწული ენახა.
 მარიამჭია ტკბილ სიზმარს რომ ხედავდა, უცებ



ქარიშხალი ამოვარდა, გასაშრობად გაფენილი კაბები
 მოიტაცა. ზოგი საით წაფერივდა, ზოგი - საით.
 გადავებებულმა მარიამჭიამ ბევრი ეტება თავისი ლამაზი
 კაბები, ვერ იპოვა და ატირდა:
 - საცაა ყვავილეუის უფლისწული მოვა ჩემს
 წასაყვანად, რა გუნა, შიშველ-ტიტველი ცოლად როგორ
 გაყვეო!
 - ნუ ტირი! - ანუგეშა მარიამჭია ყაყაჩო, - ჩემს
 კაბას გაჩუქებ!
 მართლაც, ყაყაჩო თავისი წითელი, შავხალეუბა კაბა
 აჩუქა მარიამჭიას.
 მას შემდეგ იმ წითელ, შავხალეუბიან კაბაშია
 გამოწყობილი მარიამჭია. ეშინია, ქარიშხალმა კიდევ
 არ მიმტაცოს კაბო და ღამით ტანგაუხდელი იძინებს,
 რომ სიზმარში ყვავილეუის უფლისწული ნახოს.



ბავშვობის ნახა და მის დედის ნახა

ჩემო თვალისწინო,
 ჩემო მამაწინა,
 შენმა მობრძანებამ
 ისე გამახარა,
 ისე გაბედოცნლა,
 ისე გამბძრწუნა,
 ეველა დაშავიწყდა,
 ვინც რა მამუეწინა.
 იაუნახა, ჩემო ტკბილო,
 ბიჭო თვალხატულა,



ვარსკვლავები ამოსულან,
 მთვარეც დახატულა.


დაიძინე, ვარსკვლავებიჭო,
 ირგულიე ეველას სძინავს.
 სძინავს ფისუნის,
 აღარც მურა ღრინავს.
 ჩუ, შეწერდა ჩქამი,
 წაღოც გაიტტრინა.
 ბიჭუეკვლამ სისმრად
 დედას გაუღიმა.
 მაგრამ მილის კანმა
 ვახსნა სისძმის გუდა



და ბიჭუნას დედას
 თვალი დაუსუჭა.
 ნახა, იაუნახა,
 ვარდს და იას ნახა,
 ბავშუეკვლას ნახა,
 მის დედიკოს - ნახა.
 ბიჭო, სსიეო მახისა,
 და მატარა დედა,
 დედაც, თვალმხანრა,
 დაიძინე ტკბილად,
 ბეწის ვახსნარად!



თ.ა.



ქუთაისში ბევრი სკოლამდელი დაწესებულებაა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს №2 საბავშვო ბაღს დაარსების ისტორიაც და პროფილიც განსხვავებული, განსაკუთრებული და საამაყო აქვს: ეს ბაღი გენერალ-მაიორ ზაურ უჩაძის დახმარებითა და მონღოებით 1993 წელს გაიხსნა სამხედრო მოსამსახურეთა შვილებისთვის. მისი გამგე ქალბატონი ხათუნა კუხიანიძე, რომლის მეუღლეც სამხედრო პირი იყო და აფხაზეთის ომში დაიღუპა, თავის პატარა ვაჟთან ერთად ათობით ბავშვს დაჰფოფინებს თავს. ბაღის აღსაზრდელებს საუკეთესო პირობები აქვთ, მშობლიურ ენასთან ერთად უცხო ენებსაც სწავლობენ, ხალხურ და ევროპულ ცეკვებს ითვისებენ. მათი მონაწილეობით ეწყობა ზღაპრული საღამოები, გასართობი და ინტელექტუალური თამაშები.



ამ პატარების მშობლებს შეუძლიათ მშვიდად იდგნენ ქვეყნის საღარაჯოზე და აკეთონ თავიანთი საქმე - მათი შვილები საიმედო ხელში არიან.

ბაღს დიდ დახმარებას უწევს ქუთაისის 21 - ე ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი კობა ლაჭყვიანი. ქალბატონი ხათუნა კუხიანიძე და მისი აღსაზრდელები მადლობას უხდებიან მას გულისხმიერებისათვის.

„ბავშვობა ის ულამაზესი, ჯადოსნური ხანაა ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც მახსოვრობიდან არ ქრება, არ იშლება. მინდა ჩვენს პატარებს ღრმა სიბერეშიც ტკბილ მოსაგონრად დარჩეთ აქ გატარებული წლები,“ - ამბობს ბაღის გამგე ქალბატონი ხათუნა კუხიანიძე.



ჰა, ღრუბლებმა შავად
ჩამოჯანდეს სუფა,
იქუნა და გვალვას
გასასრესნად ვცა.
ღრუბლის მოღვაჯარი,
ვინ დაუდგეს წინა.
მოჰყეფს ნიაღვარი
და შრიალეებს წვიმა.
ტოტებს ჩასდგეს ჩქერი
ვერცხლის ძაფებისგან,
თუმც წუალს სვამენ ხეინ,
ფეხს სწეურია ისევ.

ვარდი ფრთებს შლის - ღაღის,
თითქოს სურდეს ფრენა.
და სმოეს ბალახს ხარი,
წვიმა უჩანს ღუნენად,
ძროხაც ღუნენით ბლავის
ამო მხანუნითო.
ძოთი დაეძვა ღვარი
ველსე საჯინითოდ.
ღრუბლებს კვალი თვისი

დარჩათ გაძლილ ვეულად,
მერე მშობელ მთისკენ
ვაილაღნენ ნელა.
იქ მთამ ჩაისუტა
სინარულით სახსემ,
თან დალოცა: -
მუდამ
გაკემარჯვოს ასე.

მარგანა ანატორ აბულაშვილი

მუხანა მხალაქა

კათილი ბაბალი

ზამთარი მოდის, ცივა,
სიდან ფოთლები ცვივა,
მდინარე გაიყინა,
სმლებად ჰკიდა ეინვა,
მაძალმა დაიყოვლა:

ბეღურას თოვლში სმინავს,
ღამოფუნინთ ბინა,
თორემ წაიდებს ქარი.
ერუნმა გაულო კარი,
გადმოუქრა ფეტვი,
რა უნდა ამის მეტი?!

დალი მამიშვილი

ბატბა მიწის პირი

ენძელვებით მოჩითული,
გათბა მიწის პირი,
მოიმღერის ნაკადული -
ველ-მინდვრების სტვირი,
მერცხლის ჭიჭიკს ელოდება
ანა უოჟელ დილით.
ჭრელთვალემა გაზაფხულიც
მოდის დიდი ღუნით!



სამი წლის ხატიას ძია მწერალმა ზღაპრების წიგნი აჩუქა. ძია მწერალი ბაბუკას ტოლა კაცია და ზღაპრებში ცხოვრობს. მისი სახლის მეზობლად, გამოქვაბულში, ბაყაყდევი იძინებს, ჭილაში კი, დელის პირას - სამთავიანი გველეშაპი. ეზოს საჭყუმბალოში სპილო გოგოტა ბანაობს, წყალს ხორთუმით აიღებს და ზურგზე გადაისხამს, ასე გრილდება. სხვენში ჯადოქარი ფეფიკო იმალება და სულ იმაზე ფიქრობს, ვის რა ოინი უყოს... დიდილაობით ჭოშკართან სკოლისაკენ მიმავალი სათამაშოები ჩაივლიან.

...ძია მწერალი ვეკლას სათითაოდ იცნობს. ასე რომ არ იყოს, აბა საიდან ეცოდინებოდა, როგორ გაეზარდა ხორთუმი ბუტია სპილოს, ან სამეღნიდან კალმის წვერს როგორ ამოჰყვა საზიზღარი თხაინი-თხუანი, ან როგორ მღერის შვიდთავიანი დევუკა, ბავშვებს როგორ აციხნებს პაწაწინა ღტლტ, ან ცოცხზე როგორ დაფრინავს ონავარი ჯადოქარი ფეფიკო...

პატარა ხატამ ჯერ კითხვა არ იცის და ზღაპრებს ბებია უკითხავს. ხატია იმასოვრებს და თავის სათამაშოებს უყვება. ვერ კარდენენ სათამაშო აქვს, იმდენი, რომ დათვლით მერ დათვლი და სახლშიც ძლივს ეტყევა. ზოგი მინის კარადაში ჩამჯდარა და იქიდან უყურებს ტელევიზორში მულტფილმებს. უფრო ძველი სათამაშოები სკივრშია ჩაყრილი, ანდა დაუდევრად, წაღმა-უკუღმა ჩაჩურთული ძველ ჩანთაში...

ხატას ყოველთვის ახალი სათამაშო ურჩენია, მაგრამ ახალიც ხომ ძალიან ჩქარა ძველდება, თუ თოჯინას მკლავი მოაძვრე, კაბა შემოახიე ან ცხვირი მოატეხე, თმა გაუწვეწე, არ დაბანე და არ დავარცხნე, მოკლედ, თუ გააფუჭე და მიადგედ... რა ქნან ხატისასვან მივიწყებულმა თოჯინებმა? არავინ იმათ არ ეთამაშება, არავინ ეფერება, არავინ უჯლის...

ერთხელ ხატია აივანზე ერთობოდა, რაც კი რამ სათამაშო ჰქონდა, ძველიც და ახალიც, აქ დაეყარა.

ალაგებდა და ვერც ალაგებდა! სათამაშოები ხმაურობდნენ, ჭყლიბინებდნენ, წიფწივებდნენ, ადგილზე ვერ ისვენებდნენ, ხატიას არ უჯერებდნენ. ან რა მოსვენებდათ, როცა ზოგს მკლავი ჰქონდა ამოღებული, ზოგს თავი განზე გადადრეცილი; ტანისამოსი ხომ წაღმა-უკუღმა ეცკათ, რაც მალა-ზოიდან აქ ჩამოსახლდნენ, ხელ-პირი არ დაებანათ და თმა არ დაევარცხნათ...

- დაწყნარდით, თორემ დაგსჯით! - უჯავრდებოდა სათამაშოებს ხატია, თან ხელში წკებლა ეკვირა.

აგრე ბიჭი-ცერეცო ცდილობს თოჯინა მაკრინეს ნაწნავში მისწოდეს. ხატია უჯავრდება, ყურს აუწევს და, დახეთ უბედურებას, ბიჭ-ცერეცოს თავი



ვი სძვრება. ამაზე თოჯინა - მაკრინე უბედურებდა, გვერდზე გაწვება და ცალ ფეხს აფუჭს. ხატია მოსცხებს ტაკოზე და აღნავლებულ თოჯინას ძირს ადგებს. მაკრინე თვდაღმა ეცემა და რჩება ასე ტაკოაშვერილი... ამ დროს ნიანგი დროს იხელთებს, ვოჭუნას კბილს წაატანს, ვერ მოზომავს და კუდით ბარბის თოჯინას გამოედება. თოჯინა მფორზე წაიქცევა, მფორე - მესამეზე და წაშში ბარბების მიელი რვიე ერთ მხარეს გადაყურცულდება. ხატია ნიანგს კუდით აათრეკს, ის პაერში კბილებს გააწკაპუნებს და გულგახეთქილი პაწა სათამაშოები მიმოიფანტებიან. გაბარზებული სპილოები ხორთუმიებში ჩაჰბერავენ. ავტოები თავისით იქოქებიან, თუმცა ბორბლები აღარა აქვთ და საღა წავლენ. სამაგიეროდ, მატარებელი შეჰკივლებს, ჩჩქ-ჩჩქ ძახილით ვაგონებს წაათრევს... ამწე მანქანა ბოლო ვაგონს გამოედება, გადაყირავდება და მაღალ კომპურას დათუჩის თავში სდრუზავს. დათუჩი ბურღუნით ჩავორდება თოჯინა-ვაგონებსა და ბიჭუნებში...

მოკლედ, ხატისა აღარავინ უსმენს და მისი წკებლისიც არავის ემჩინია...

- ხატია, გენაცვალე, მულტფილმი დაიწყო! - გამოსძახა ამ დროს ბებია.

ხატია შინ შევარდა და ტელევიზორთან დასკუბდა. ისეთი საინტერესო მულტფილმი გადიოდა, რომ აივანზე მიყრილ-მოყრილი სათამაშოები სულ დაეაიწყდა.

იმ საღამოს, ძილის წინ, ბებიამ ჯადოქარი ფეფიკოს ზღაპარი უამბო. ალურსიანმა ხმამ ხატბას დაუნანავა და მშვიდად დაძინა.

ღილით თავისი სათამაშოები გაახსენდა და აივინსაკენ გაიქცა. კარი გააღო და ზედავს, აივანი ცარიელია, სათამაშოები სადღაც გამქრალან.

- ბებია, ბებია, სად არის ჩემი სათამაშოები?

- ჯადოქარმა ფეფიკომ აკრიფა, - უთხრა ბებიამ, - შენ ხომ იმ სიბნელეში უყურადღებოდ მიყარ-მოყარე. ღამე ბნელოდა და სიცივისა და შიშისაგან მთელი ღამე ტირილდნენ. შეეცოდა ფეფიკოს და თავის თბილ ბუნავში წაიფიანა.

ხატბამ მოიწვინა, თვალები ცრემლით ავესო.

- ბებია, სად ცხოვრობს ჯადოქარი ფეფიკო?

- ეჰ, ჩემო კარვო, - ამოიხრა ბებიამ, - ფეფიკო ზღაპრულში ცხოვრობს და მისი მონახვა ყველას არ შეუძლია.

- იცი რა, ბებეკო, - წამოიძახა ხატბამ, - მოდი, მია მწერალს დავურეკოთ, იმას ხომ ეცოდინება, სად ცხოვრობს ჯადოქარი ფეფიკო. ოღონდ ჩემი სათამაშოები დამიბრუნოს და სულ მოვეფერები!

- რა გაეწყობა, დავურეკოთ! - დათანხმდა ბებია.

ტელეფონის ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა და ჩასძახა:

- ბატონო მწერალო, თქვენთან პატარა ხატბას უნდა ლაპარაკი!

- გისმენთ! - გაისმა ტელეფონში ხმა, რომელიც საოცრად ჰკავდა ხატბას ბაბუკას ხმას.

- მია მწერალო, ძალიან ვთხოვთ, ჯადოქარ ფეფიკოს უთხრაო, სათამაშოები დამიბრუნოს. მეტად აღარ გაწყენინებ, გეფიცებით, სულ მოვეფერები!

- ჩემო ხატბა! - თქვა ტელეფონში მია მწერალმა, - სათამაშოებს კიდევ უნდა ეთამაშო და კიდევ უნდა მოუარო. რაი ასეთი კარგი გოგონარ, ჯადოქარ ფეფიკოს შეეხვეწეები და, ვფიქრობ, სათამაშოებს დაგიბრუნებს!

ბებიამ ხატბას ყურმილი გამოართვა და უთხრა:

- ახლა ხელ-პირი დაიბანე, ისაუზმე და ფეფიკოს დაველოლო!

ხატბამ საუზმე მოამთავრა თუ არა, აივნის კარზე კაკუნი გაისმა. კართან მიიბრინა, გამოაღო და უკლებლივ ყველა თავისი სათამაშო დაინახა, კონ-



ტად ჩამწკრივებულები, ხელპირდაბანილები და ტანისამოსმწერსრივებულები.

გოგონამ გაიხარა, ტაში შემოჰკრა. უნდოდა, ზრდილობიანი მადლობა ეთქვა ფეფიკოსათვის, მაგრამ ცოცხზე შემჯდარი ჯადოქარი ისე მალლა მიფრინავდა, გაზაფხულის მერცხლისაგან ვერ გარჩევდო.

იმ დღიდან ხატბა ბეჯითად უვლის თავის სათამაშოებს, ხელ-პირსაც ჰბანს, ტანისამოსსაც ურეცხავს და უცვლის, კიდევ ეთამაშება და, რაც მთავარია, თამაშს რომ მორჩება, კონტად მიწლაგებს...



მხატვარი გიორგი ჩარანიძე





დიდი საქმა

მზის სხივმა თქვა: „ჭიტა“
 მიწამ თვალი ჭკიტა.
 ვევილებად მოაქარვა
 უფლის მადლი ციდან.
 გინაროდეთ ვუვლას
 გათენება დილის,
 ნუ მოკვევით ნურვინ
 წუწუნსა და ტირილს.
 მადლიერი გულით
 შეუდევით საქმეს.
 ჩიტუნაც და მწერიც
 უსაქმურად არ ფრენს.
 თამაშობ თუ შრომობ,
 დაისხამე, კარგო,
 დიდზე დიდი საქმეა
 კაცად გაიზარდო!



ბანერალი ლამა

ჯანმრთელი და კუნთმაგარი,
 წლინახვერის ლამა,
 დიდიდანვე მწკრივად აწეობს
 თოჯინების ლაშქარს.
 - აბა, სწორდით!
 თავი მადლა!
 თქვენ ხართ ჩემი ჯარი!
 კარგო ოფიცრებს გამოჯანრთობთ
 ლამა - გენერალი!



ზურაბ კახინაძე

არ მიყიდეს „დილაო“

გოგა ქეთის კბილაო,
 ძლიერ მოწყენილაო.
 ქეთი:

- გოგა, რა მოგდის?
- არ მიყიდეს „დილაო“.

ბიორბი ნართალი

კატა მიდის საომრად

კატა მიდის საომრად, -
 ვუვლას მოგვიადურსა...
 გაგვისვა-გამოგვისვა
 უღვაშები აღესა...
 კუდით ქვა ასროლინა
 კოდში მშრომიაღესა!





შორეულ წარსულში, 1000 წლით ადრე ჩვენს ერაღე, ადამიანმა აღმოაჩინა და მოიშინაურა უდაბნოს ბინადარი - აქლემი, მისი გამძლეობა და ამტანობაც მშვენივრად გამოიყენა, მაგრამ დიდხანს ვერ ამოიცინო ამ საოცარი ცხოველის საიდუმლო, მისი ზღაპრული უნარი - როგორ შეუძლია აქლემს ისე გაიაროს გავარვარებული უდაბნო თავიდან ბოლომდე, რომ გზაში წვეთი წყალიც არ დალიოს? ამის შესახებ წარსულში მრავალი ლეგენდა არსებობდა. საიდუმლო ისევ მეცნიერებმა ამოხსნეს.


უწყლოდ აქლემი ორ კვირას ძლებს, მაგრამ თუკი წყალს წააწყდა, მთელი კასრის დაღვევა შეუძლია. თუ სამი დღის მწყურვალია, ერთ ჯერზე 40 ლიტრს სვამს, თუ ერთი კვირისა - რამდენიმე წუთში 100 ლიტრსაც დაღვევს. ერთმა აქლემმა რეკორდი დაამყარა: რამდენიმე საათში 186 ლიტრი წყალი დალია.

უწინ ფიქრობდნენ, რომ აქლემს სითხის შესა-

ნახად დიდი „ჯიბები“ ჰქონდა, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა - დალეულ წყალს იგი ცხიმად აქცევს, მერე კი, როცა დასჭირდება, 100 გრამი ცხიმისგან 107 გრამ წყალს იღებს. ეს ცოტა არ გვეოცნოთ - თავისი კუჭებიდან აქლემს 50 ლიტრამდე წყლის მიღება შეუძლია. სიცოცხლისათვის აუცილებელ სითხეს აქლემი სხვადასხვა საშუალებით ზოგავს კიდევ. სიცხე 40 გრადუსიც რომ იყოს, არ თფლიანდება; მისი სხეული დაფარულია ხშირი ბეწვით, რომელიც ორგანიზმიდან სითხის აორთქლებას ხელს უშლის; პაპანაქება სიცხეშიც კი აქლემი პირს არ ადებს და წყალი არც ამ გზით ორთქლდება.

...და დღის დინჯად „უდაბნოს გემად“ წოდებული ეს საოცარი ცხოველი გავარვარებულ ქვიშაზე, გადააქვს ვეებერთელა ტვირთი და ვინ იცის, რას ფიქრობს.

პაპატა ჩხიძე



ღიქმა ვაღის - 100 კმ-ს.
ცხიმის სიგრძე - 250-360 სმ.
სიმაღლე - 180-240 სმ.
იული - 50-58 სმ.
ხნის - 450-690 ჟგ.



მხატვარი -
გიორგი ჩაჩაანიძე



მოვეზადლოთ, ბიჭო, ჩძარა!

წვიმა მოდის
წარაშინა,-
თქორი, თქეში,
ხოშეკაღლა...
მოვუღერე
მუშტი, -კმაწა!
შეშინდა და
გაიშარა!
დიღერამ თქვა, -
გადიღო,
ღერამა თქვა, -
გადიკარა,-
-სათამაშოდ
გავეშეშეხე,
მოვუშინადლოთ,
ბიჭო, ჩქარა!



ბამოცანა

ხან ეინუა,
ხან -ქარბუქი,
- აბა, ცივა,
აბა, ქურქი!
ახალი წლის
მოლოდინი,
ნამცხურები და
ბლამაღ სეღო...
გონიანი
მხად არი!
- წლის რა დროა?
- ზ



ენის გასამართი

გუშინ გაიბ გივას გაუკეა ცივა...
გორაკს მოწედა გივას ცივა,
ცუბც უკან გაკეიდა,
წინ ცივა და უკან ცუბა,
ცივას მისღვეს ციწეა გუგა...
აუირაღდა ცივა, ქვეშ მოქცა გივა,
გადამხო ცუბა, იმას მიჭეა გუგა!
ცივა, ცუბა, გივა, გუგა
ჟეღა თოვლში გაიგუნგლა.



ბარიალ ხავთასი

ღეღა



წამოღეღა უთენია
და საქმესაც შეუღეღა.
ჯერ არ მახსოვს, დამენახოს,
როდის წეება, როდის ღეღა.
უღელის მამას, უღელის ბებოს,

თიშეს გვივარცხნის მე და გოვის.
მერე მიჭქრის სკოლისაკენ
გამოცდილი ზეღავოგო.
თავს გვეღელება შინ თუ გარეთ,
ვეღელან გვამწეგან, ვეღელან გვანეღელან.
ჩვენ ჩვენს თავზე ვუფრობთ მხოლოდ,-
სუვეღელანსე ფიქრობს ღეღა.



გვილოცავენ

დიღა 95

მისი უბრწყინვალებომა „დილა“ — ქართველ ბავშვთა დედა-ენა

შორიდან დავიწყებ: 1967 წელს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორობა შემომთავაზეს. როგორც წესი, დამიძახხა საქართველოს ცეკვას პირველმა მდივანმა ვახტანგ მგაფანაძემ.

შევედი მქავეანძის კაბინეტში, შევედი თუ არა, დაბრძანდით, მითხრა და გაავრძელა: „ჯანსუღ, შენ მუშაობდი ჟურნალ „დილას“ რედაქტორად, ახლა მუშაობას იწყებ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორად, რას ფიქრობ? რას გააკეთებ?“

მე ვუპასუხე, — ვახტანგ ბავლოვიჩ, ადრე თუ „დილით“ ვდებოდი, ახლა „ცისკარზე“ ავ-

დგები-მეთქი. ცეკვას პირველმა მდივანმა აღიქვა იუმორი და გაიღიმა, მერე ისევ მკითხა: „კარგად დაუფიქრდი და მიპასუხე, ვინ დავინშნით შენს ადგილზე...“ მე ისევ ვუპასუხე, — ვახტანგ ბავლოვიჩ, ჟურნალი „დილა“ ჩვენი ბავშვების დედა-ენაა, ამ ჟურნალის რედაქტორად უნდა დავინშნოს ისეთი პატრიოტი ქართველი პოეტი, როგორც მუხრან მაჭავარიანი-მეთქი. ეს იყო და ეს. დავემშვიდობე ცეკვას პირველ მდივანს...

თუ არ ვცდები, იმ დღეებში დაუძახხა მგაფანაძემ მუხრან მაჭავარიანს, მიესალმა და ამა-

ყად უთხრა: „მუხრან, შენ დღეს „დედა-ენის“ რედაქტორად გწმინავ, აბა შენ იცი და შენმა პატრიოტობამო“.

დღეს, როცა ამ გადასახედ-დან ვუყურებ „დილა“ მართლად დედა-ენა ჩვენი შვილია.

ვულოცავ დაბადების დღეს და ხმაშლილი ვამბობ, ღმერთმა ნურცერთ ჟურნალს ნუ გაუჭირვოს, მაგრამ ჟურნალ „დილას“ ფასს ისევე უნდა ვიცოდეთ, როგორც ჩვენი მომავალი საქართველოსი.

ჟურნალი „დილა“ ქართველი ბავშვების „დედა-ენაა“.

თქვენი ჯანსუღ ჩარაქიანი

ჩვენი ხალხი და ჭყნნიეპჭა

ღვთის წყალობითა და ნებით ისე გამოსაზრდილია სიცოცხლე, რომ პირველი საწაწველო ჟურნალის „ჩველის“ თანაბრად ვახტანგარა; ასევე „ნაკადულს“ თანამოზარე და თანამოციფელოც და ამიტომ მათ დიდი სიყვარულითა და ხალხით ვიხსენებ.

კომპიუტერებისა და ინტერნეტების ეპოქაში, როდესაც დიდი ჩვენი ვანციფერება და გამაფიქრება, რომ თანამდროვე ცივილიზებული საზოგადოება ასეთ შენსიწინავე ქმნილებებს ფლობს, არ შეიძლება უკრალდების გარეშე დეგერჩეს საბავშვო და საწაწველო გამოცემები, ის ანა-ბანა, რითაც დღევანდელი პატარები ვეჭვირებას ეწეობან. ბავშვის ცნობიერებით იწყება ვეღლაფერი. ის პირველ რიგში ავირღება თავის გარემოს და ამავე დროს უნდა იმტერტიზებინსაღმით, თუ საიდან მოდის ყოველივე, რა ამოძრავებს სამყაროს. ამიტომ პირველ საბავშვო წიგნებში სწორედ ბუნება და ბავშვის გარემოა აღწერილი. ცნობილი საბავშვო პოეტი შოა მღვიმელიც ამ ბუნების აღმწერი გახლდათ და ამის გამო იყო და არის ასე ამობოლო პატარებისათვის.

მინდა გავისყნო ის გარდასული დღეებში დრო, როცა მე აბასთუნის ასტრო-ფიზიკურ ომეტერაორიაში,

თაყნობილზე ვემშობდი ჩვენ ვაკელა ბევრი რამ — სითბო, სინალო, საკვები და რაც მთავარზე მთავარია, სამეცნიერო ინფორმაცია, სამეცნიერო ჟურნალები და წიგნებიც (თუმცა საქმალ კარგი ბიბლიოთეკა გვექონდა), მაგრამ ყოველთვის ცედილობდით, არ მოგვეკლო ბავშვებისთვის ჟურნალი „დილა“ (იქ, დასახლებაში ბევრი ბავშვი გვეყავდა). ამ ჟურნალით ბავშვებსაც ვახალისებდით და მათი სიხარულით ჩვენც ბედნიერები ვიყავით.

არ შემიძლია არ ვთქვა, რომ „დილის“ დღევანდელი რედაქტორი, ქალბატონი დოლო წიფვიამე ძალიან სასარგებლო საქმიანობას ეწევა. ეს ჟურნალი სრულიად თანამდროვე გამაყვება, ფხადფხვ მიჰყვება დროს და პასუხობს სადღესო მოთხოვნებს. დასარჯულს; მინდა ჩვენს იუბილარ ჟურნალს მიულოცოთ დაბადების დღე და გითხრათ, რომ ჩვენი ისტორია მხოლოდ მემბტანავენების მიერ როდ იწყება, ის იწყება საწაწველო და საბავშვო ჟურნალებისა და წიგნების საშუალებითაც.

ვხხხხხ ხარამძე

დაგელოცოთ „დილა“ მშვენიერ

ჟურნალი „დილა“ 95 წლისაა! ტრადიცია ცოცხლობს, გრძელდება ბედნიერებისა და სიხარულის გზა ჩვენი ბავშვებიდან — ჩვენი ბავშვობისაკენ!

ცხოვრება „დილიდან“ — „დილიამდე“!

სოლიდური ასაკი მიიღეთ ნიშნად იმისა, რომ ფესვი ძლიერია, კლორტი — ჯანსაღი!

„დილა“ ისევე იქ თენდება, — ყმწველითა ვსულეებში, — ისევე იქ ანათებს...

დაგელოცოთ „დილა“ — მშვენიერი, ძვირფასო მეგობრებო, მკითხველო და კეთილი მსურველი ნუ დაგილიოთ ღმერთმა!

კაკიციცხვითი — „ლიტერატურული საპარტიკლონი“ რედაქტორი

ერთხელ ვთქვით: რა კარგი იქნებოდა, რომ რომ შობილებს გაეცნათ ჩვენი ცხოვრების ერთი მინაკვეთი და ზედ დაეწერათ „ბავშვების წლები“.

მე მგონი, მათაც ძალიან უნდათ ამის გაკეთება, მაგრამ, ბავშვთან შედარებით, რეალისტური ბუნების გამო ვერ ახერხებენ, უმთავრესად პირობითობის, უაღრესად ხარისხების, სურვილის ასრულებისაკენ კი. სანამ სურვილი ჩუბია, გაუმტავნებელი, საშუალების მაღალი წერტილია და უკეთესის იძილე, ვეღვაფერო რიგზე, მაგრამ სიტყვაში ვაჩვენებელი, ისეთი თვალისმომჭირელი ელვარე ხდება, რომ მის მეტე, მხოლოდ უკუწიო შეიძლება იყოს, სიბრძნე, უბედურება...

ბავშვები, რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობენ. მათ იცნავენ უნდა იყონ, სანამ გავფრთხილდებით, თუნდაც მერე მისას დაინარცხო, შშმ დავუვახ, ან წყლდა წავიღოს.

ამიტომ უფრო მათ ხაზადრები, კეთილი და ბოროტაც თუკი დაინახავ რაგორ იქცევა კახი ეტლად და ერთხები ცხენებად, როგორ ტირის ქალღვება ბავშვის უსწავსო საყვარულს და როგორ ცხოვრობს ცვაკლის ბუტკოში სევისხულა ვოგონა, მერე ბროლის ქოში მოგვარება ეფხზე თუ არა, ალბათ, უკმა სულერიოია. მაგრამ თუ კი მოვარგო, ეს ბოლომდე ახდენილი იტენება, ისეთი ნათელი, რომ ზურგსუკან აბათო სიბნელეს, ჩრდილსაც კი არ გულისხმობს.

ასეთი სიკეთე იყო და არის საქმეწყო ქურნალი „დილა“ ამ ბოლო დროს, ისეთი კრიალა ქალაღვზე დაბეჭდილი, ფარმაკონის კუდივით მოხატულ, ყველა სიტყვა რომ ჯერ მატარებელი ხატია და მერე აზრი და აძიულებს ბავშვს წაიკითხოს ტექსტი, რაც ხელ უფრო ძვილი მისაღწევია ხდება.

დღევანდელ დღეს მასწავლებლის თუ უკრახლის ყველაზე მთავარი მოვალეობა ბავშვს კითხვა ასწავლის და შეაყვაროს, დაანახოს, როგორ მიიზნალება კარგი მოქმედება ბავშვებში და როგორ ამათებს ნარნარა ბავშვების არალი, მართლი, მძინე-ქარი...

ენის გასატეხებს სთავაზობს პოეტური აღტირაციის სათავეს, ტრუქების გონების გასავარჯიშებლად, მათ მიეტე დახატულ ლექსებს და შთიხრობებს, როცა აღადინო მისი სიძალევა და ხესთან მეგობრობს, რაც ბავშვებიდან გამოივლის მერე მხოლოდ გენიოსს შეუძლია: ვევა უმჯობეს — ის და კლდის სიყვარული, გვალატონს — მკანერაწყვილის მართალიაშუას — ცხობილ ახლოსობა.

კულოცე ქურნალი „დილა“ და მის თვალტორის დიდო წიგნივაძეს 95 წლის თუბიძეს და ვისურვებს ამ ქურნალივით კრიალა და ფერადი კოჟილიყოს ჩვენი დროებით დაჩვარული ბავშვების ცხოვრებას!

ლ.ო. სტურუა

უნდა გავიმეორო: ცხოვრება დიდიან და „დილიდან“ იწყება.

„დილა“ — ეს ის ხანდაზმული არსებია, ასაკი რომ არ ეტყობა! 95 წლისა და ბავშვივით გამოიყურება ყმაწვილია და ბრძენ-კაცის ქუზა და გენება აქეს!

ის რომ ასეთი ჯანრთილი, ლიბანი და ქვეთინია, ამაში — დღევანდელ „დილას“ გვულისხმობ — განუზომელია დიდო წიგნიკების სიღრმე. რა თქმა უნდა, გული მწყდობს, ასეთი აღნაგობისა და ღირსების მქონე ქართული ქალი იჯახს რომ არ მოეკიდა, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყოს იგი, უკეთესი ტრადიციისამებრ, დიდი-დიდი, ცნრა შეიღოს დედა ყოფილიყოს! ახლა კი მის ათასობით ბავშვის დედობა შეუძლია დაჩვიოს! დედა კი იგი მართლაც სამაგალითოა — მის მისისვილებსა და მისისვილიშვილებს რომ თავი დაგვენებო, იგი დედობას უნებს პატიარა მკითხველების მთელ არმიას, ამ შირე ჩვენი დიდო ნინო ნაკაშიძის, მარიამ დემურიასა და მათ დარ მოღვაწეთა პირდაპირი შთამომავალია — კი ძნელი წლებში წარმატებით გამოატარებინა ჩვენს უსაყვარულს გამოცემას. ანი ყველაფერი შედარებით იოლია. შედარებით იმიტომ, რომ არც დღეს იკლავენ ფულიანი კაცები თავს ქველმოქმედებისათვის — „საკუთარი სპონსორების“ — მშების გარდა ხხვემაც რომ უყიდონ ჩვენს შვილიშვილებს თითო ფერადი ცეკვი, ამით ქვეყანა არ დიქცეპს!

ერთ, ერთადერთ რჩევას მივცემდი ძვირფას დიდოს: უნდა დროებით გვერდზე გადადოს თავისი მომეტებული მოკრძალები და ყველა გზითა და საშუალებებით სცადოს ჩვენი უკეთესი მწერლების გადაბირება — მანამ არ მისცეს მათ მოსვენება, სანამ შედევრებს არ დაწერენ ბავშვებისთვის. ავტორთა წრის გაყვართება, უბრალოდ, აუცილებელია. ცოტად და ასი წლის მოიყრება „დილა“.

მინამ იდგეს იგი ფეხზე ად მყარად, სანამ იარსებებს დილა და საღამო, სანამ დედამიწაზე იტიტინებს ჩვენი საერთო სიყვარული და სიხარული — ბავშვი!

ტარიელ შანტური

„დილა“

დაელოცოს გზა...

თითოეული ჩვენთაგანისთვის დილაა!

საბავშვო ქურნალი ერთეული სულიერების სამკაულია. რა გასახარი და საამაობა, რომ მან უკვე არსებობის საუკუნის ქიშკარი შეიღო.

„დილა“ მარადიული სიხარულია, ზეალისდელი დღე — მხნე, მზიანი, ოქროცურვილი, ბავალო.

ამ ქურნალს დასაბამიდან თავდადებული მამული შეიღები ქმნიდნენ. ასეთ ბედი ეწია „დილასაც“...

„დილის“ რედაქციას, მის მთავარ რედაქტორს, ქალბატონ დიდო წიგნივაძეს უკულოცავ ღირსშესანიშნავ თაირის.

მისუს პატივი მივაგო ამ ქურნალის ამკაინდელ მესვეურებს, „დილის“ მთავარ რედაქტორს, ქალბატონ დიდო წიგნივაძეს, ამ რედაქციას მოღვაწე ყველა თანამშრომელს, რომელთაც შეძლეს თვალსაზრებულა ჩანაღებულ ამ საგანძურის აღორძინება და უფრო ამაღლებული, თვალისა და გულის სააბო „დილა“ მოუვლინეს თავის მკითხველებს.

ძვირფასო კოლეგებო, თქვენი ერთგულება და თავდადება სამაგალითო ცისკრელებისთვის!

მეინად პატივი გყოფილიყავი ამ ქურნალის ერთ-ერთი ავტორი და მკითხველი.

იღვებრძელებო, დედაგულთ თქვენს გვერდით.

„დილა“ ჩემი სულიერი მეგობარია, რომელმაც მასიარა ბავშვთა საყვაროს უჩეაესობისა!

პატივისცემით

ვულოცავ ყველას, განსაკუთრებით მოზარდ თაობას ქურნალის იუბილეს და დიდო წიგნივაძეს „დილას“ გზას მათი სულიერი მისაკვე.

ზაურ კალანდია, ქურნალი „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი.

გილოცავთ

საბავშვო ჟურნალ "ლიტას"

95 წლისთვის ვაკლოცავ

სულითა და გულით ვულოცავ ჟურნალ „დილის“ რედაქციას თითქმის საუკუნოვან ოქმივებს მინდა ჩემი მილოცვა გვიგებრეცხვო ნორჩ-მკითხველ აუდიტორიაზეც, ასი ათასობით ბავშვზე თუ მოზარდზე, ვინც წლების განმავლობაში ენობრივად და ენობრივად ჯადოსანურ სამყაროს, ათწლეულების განმავლობაში ჟურნალის ფურცლებზე დასტამებული ლექსებითა და მითხრობებით, ნახატებით თურბუხებით თვალსაწიერს იფარებდნენ ერის თვალსაწიერ შეილები — მე-20 და 21-ე საუკუნის ადამიანები.

დღიად გზადლობთ პირადად ჩემი ბავშვობის გალამაზებისათვის, გისურვებთ გათენების სიხარულს.

